დამტკიცებულია
შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის
დირექტორის 2023 წლის 24 აპრილის ბრძანება N4027
ცვლილება განხორციელდა
2023 წლის 9 ოქტომბერს ბრძანება N 00010098
2024 წლის 5 თებერვლის ბრძანება N 00001068

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

მარნეული
2023

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის(შემდგომში კოლეჯი) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში -წესი) შემუშავებულია ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება N42/ნ-ის, მომქმედი კანონმდებლობის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე.
2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას და შეწყვეტასთან, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის განხორციელებასთან, პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან, კვალიფიკაციის მინიჭების, მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებს.

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობაა.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით, დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემით.

2'. კურსდამთავრებულისათვის დიპლომის გაცემა არის ფასიანი და მისი ოდენობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახეებია:
    - საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;
    - საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;
    - უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით.
4. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და სხვა.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს:

    ა)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე
    ბ)სარეგისტრაციო ნომერი:
    გ)მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე
    დ)პროგრამის მიზანი:
    ე)პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
    ვ)დასაქმების შესაძლებლობები:
    ზ)სტრუქტურა და მოდულები:
    თ)პროგრამის მოცულობა კრედიტებში ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის და სავარაუდო სასწავლო ხანგრძლივობა;
    ი)მოდულების ჩამონათვალი
    კ)სწავლის შედეგები
    ლ)სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

მ)კვალიფიკაციის მინიჭება;
ნ)სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირის სწავლებისათვის
ო)ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს დანართებს:
   ა)სასწავლო გეგმა;
   ბ)ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ;
   გ)პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული.
   დ)ტექნიკური აღჭურვილობა (არსებობის შემთხვევაში და თუ მოდულში არაა გაწერილი);
7. მოდული არის სწავლების დამოუკიდებელი, თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც ორიენტირებულია მისაღწევი სწავლის შედეგებზე. მოდულით განისაზღვრება სასწავლო თემატიკისა და მისაღწევი სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი და პროფესიული სტუდენტის სწავლებასა და შეფასების ორგანიზებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სავალდებულო ზოგად და პროფესიულ მოდულებს. მათი შეცვლის უფლება კოლეჯს არ გააჩნია.
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს.
10. კოლეჯი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი მოდულები და შეარჩიოს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ, არჩევითი მოდულები ლოგიკურად უნდა იყოს ბმაში პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასაბუთებული.
11. კოლეჯს შეუძლია საერთოდ არ გაითვალისწინოს არჩევითი მოდულები, თუ ჩარჩო დოკუმენტი არ ითხოვს მის აუცილებლად გათვალისწინებას.
12. იმ შემთხვევაში, თუ მოდულის შერჩევა სადაო ხდება პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის, აუცილებლად უნდა შედგეს შესაბამისი ოქმი და მიღებულ იქნას დასაბუთებული გადაწყვეტილება.
13. ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. კოლეჯი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა. თუ პროგრამა სპეციალობის სავალდებულო მოდულებში ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტულ უცხოურ ენას, მაშინ ზოგადი უცხოური ენა იგივე უნდა იყოს.
14. მოდული მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:
   ა)ზოგადი ინფორმაცია;
   ბ)სტანდარტული ჩანაწერები;
   გ)დამხმარე ჩანაწერები;
15. მოდულის ზოგადი ინფორმაცია და სტანდარტული ჩანაწერები არის ჩარჩო დოკუმენტის ნაწილი და ცვლილებას არ ექვემდებარება.
16. მოდულის დამხმარე ჩანაწერი მოიცავს: საათების განაწილების სქემას, მოდულის განხორციელების მიდგომებს, სასწავლო თემატიკასა და სწავლების მეთოდებს, მოდულის განხორციელების ადგილს, მოდულის განხორციელებისათვის აუცილებელ ტექნიკურ აღჭურვილობას და რესურსებს, მტკიცებულებების შეგროვების მიდგომებს, შეფასების მიმართულებებს და ინსტრუმენტებს, ლიტერატურას ან/და ინფორმაციის წყაროებს, სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების მიდგომებს.
17. მოდულები პროგრამის განუყოფელი ნაწილია და მასთან ერთად მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
18. მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში გამოიცემა ახალი ბრძანება პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ. განხორციელებული ცვლილებების შესახებ ეცნობება განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ ცენტრს.
19. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კრედიტებით არის გაანგარიშებული.
20. ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

21.კრედიტი გამოხატავს ცალკეული სასწავლო მოდულით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას).

22.კრედიტების განაწილება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო მოდულებს შორის და იძლევა სასწავლო მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობას.

23. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

მუხლი 2'. სასწავლო გეგმა

1. ჩარჩო დოკუმენტისა და მოდულების ადაპტირების შემდეგ, კოლეჯი შეიმუშავებს სასწავლო გეგმას.

2.სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იყოს მოდულებზე დაშვების წინაპირობები.

3.სასწავლო გეგმა თავის თავში მოიცავს სასწავლო გეგმას ,,ქართული ენა A2" და ,,ქართული ენა B1" მოდულების გარეშე და სასწავლო გეგმას ,,ქართული ენა A2" და ,,ქართული ენა B1" მოდულებისათვის.

4.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულია პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა შესაძლოა შეიცვალოს არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე. შესაბამისად შეიცვლება სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაც.

5.როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასებების ჩატარების პრობლემა.

6.კვირაში პროფესიული სტუდენტის დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს, თუმცა პროგრამის/მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით კვირეული დატვირთვა შესაძლებელია იყოს 30-ზე ნაკლები.

მუხლი 3. ინვენტარი, აღჭურვილობა, მასალა და ნედლეული

1.A და B გარემოს ინვენტარი, აღჭურვილობა და მასალა/ნედლეული იდენტურია ყველა მოდულისა და ყველა პროგრამისათვის.

2.C გარემოსათვის განსაზღვრული ინვენტარი, აღჭურვილობა და მასალა/ნედლეული ინდივიდუალურია თითოეული მოდულისათვის. პროგრამა მოიცავს კოლეჯის ბაზაზე პროგრამის განხორციელებისთვის არსებული ან/და მემორანდუმის/ხელშეკრულების საფუძველზე პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკული კომპონენტების გავლის მიზნით ხელმისაწვდომ მატერიალური რესურსის შესახებ ჩამონათვალს, რომელიც შედგენილია ჩარჩო დოკუმენტის დანართის საფუძველზე.

3.შესამუშავებელი პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელ აღჭურვილობასა და გარემოს კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამის საბოლოო ფორმირებამდე, კოლეჯის დირექტორის წინაშე დასამტკიცებლად წარდგენამდე;

4. სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალებისა და ნედლეულის შეძენას უზრუნველყოფს კოლეჯის ადმინისტრაცია, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის, მოდულებში/თემატიკაში მითითებული მასალებისა და ნედლეულის როდენობის გათვალისწინებით.

5.სასწავლო პროცესის მართვის სამსახური პროფესიული განათლების მასწავლებლებთან კონსულტაციის საფუძველზე წარუდგენს დირექტორის მოადგილეს (სასწავლო დარგში) მოთხოვნას შესაძენი მასალებისა და ნედლეულის შესახებ, შესაბამისი მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა.

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირება/შემუშავევბა, ცვლილებების განხორციელება, დამატება

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირება შეუძლია ნებისმიერ პირს, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე.
2. ცვლილება შეიძლება განხორციელდეს:
    - სასწავლო გეგმაში
    - საგანმანათლებლო რესურსში
    - განმახორციელებლების ნაწილში
    - მატერიალურ რესურსში
    - სწავლების მეთოდებში
    - მოდულში გაწერილ საათობრივ განაწილებაში
    - მოდულის თემატიკაში
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების მიზნით კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი რომლის შემადგენლობაში შედიან: პროფესიული მასწავლებლები, დამსაქმებლები, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელები და კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულები.
4. ცვლილება შეტანილი პროგრამა განიხილება სამუშაო ჯგუფის სხდომაზე, ხოლო პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილვლად გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსხურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამას წარუდგენს დირექტორის მოადგილეს (სასწავლო დარგში),
6. დირექტორის მოადგილე (სასწავლო დარგში) პროგრამას დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს, რის შემდეგაც კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში ახდენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ინფორმირებას, განხორციელებული ცვლილებების შესახებ ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებასთან დაკავშირებით, კოლეჯი ახდენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ინფორმირებას, იმ შემთხვევაში თუ:

    ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია ამ ცვლილების ბრძანების გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აღნიშნული ცვლილების შესახებ და წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები.

    ბ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანისას, კოლეჯი ვალდებულია აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აღნიშნულის შესახებ, შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, არანაკლებ 60 კალენდარული დღით ადრე.
8. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებათა შესახებ კოლეჯი წერილობით ახდენს შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას, რომელთაც უფლება აქვთ დაასრულონ სწავლა იმ პროგრამაზე რომელზედაც სწავლობდნენ, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით, ან გააგრძელონ სწავლა იმ პროგრამაზე რომელშიც განხორციელდა ცვლილებები.
9. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა გამოკითხვებს, წინა წლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის ანალიზს, არსებული შრომის ბაზრის კვლევას და სხვას.
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიას და ეფუძნებოდეს დაინტერესებული მხარეების დარგის სპეციალისტის/პროფესიული განათლების მასწავლებლების,

პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების კვლევის ანალიზს.

11. აღნიშნულის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას დამფუძნებლებთან ერთად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების თაობაზე, დარგის სპეციალისტთან კონსულტაციის საფუძველზე ცხადდება ვაკანსია ახალი პროფესიული პროგრამის მოდულების განმახორციელებლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის მიზნით.

11'.პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა წარმოებს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად.

11''. პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების დანიშვნის შემდეგ პროგრამის შემუშავების მიზნით კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას და ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიან: პროფესიული მასწავლებლები, დამსაქმებლები, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელები და კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულები. სამუშაო ჯგუფის მუშაობა აისახება ოქმში.

12. პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილვლად გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
13. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსხურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამას წარუდგენს დირექტორის მოადგილეს (სასწავლო დარგში) შესაბამისი სასწავლო გარემოს მოწყობის უზრუნველყოფის მიზნით.
14. დირექტორის მოადგილე (სასწავლო დარგში) პროგრამას დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს.
15. შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის წარდგინების საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას ზემოაღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე.
16. დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანეგრვის უფლების მოპოვების მიზნით კოლეჯი შესაბამის განაცხადს წარადგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები

17. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება ხდება დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესების ციკლის შესაბამისად:



ა) დაგეგმე - Plan: პროცესი იწყება შეფასებისა და რეაგირების პროცესების დაგეგმვით, რაც გულისხმობს შეფასების პროცესისთვის საჭირო ნაბიჯებისა და მიღებულ შედეგებზე რეაგირების დაგეგმვას;

ბ) განახორციელე - Do: დაგეგმილი შეფასების პროცესების განხორციელება;
გ) შეაფასე - Check: განხორციელებულ ღონისძიებებზე დაკვირვება, შეფასება, ანალიზი;
დ) განავითარე - Act: შეფასების შედეგების საფუძვლზე საჭირო ცვლილებების განხორციელება (გამოყენებულ მექანიზმებთან ან ჩატარებულ ქმედებებთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტების, სასწავლო გეგმის, შეფასების ინსტრუმენტების და ა.შ. გადახედვა, საჭიროების შემთხვევაში განახლება და დამტკიცება პროცესის დახვეწის მიზნით).

2. კოლეჯში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კორდინაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
3.საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას.
4.შეფასება ხორციელდება ერთწლიანი პროგრამის განმავლობაში ერთხელ, თუ პროგრამა ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობისაა, შეფასება ხორციელდება ყოველ წელს;
5.პროგრამების შეფასება ხორციელდება როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების შემოწმების, ასევე პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებლთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვითა და ინტერვიურებით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით, ვერიფიკაციით
6.შეფასების კრიტერიუმების, კითხვარების შეიმუშავებასა და კვლევის ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
7.კვლევების ანალიზის საფუძვეზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს და დასახავს მათი გაუმჯობესების გზებს.

მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს ადამიანური რესურსის სიმცირე, აპლიკანტების მხრიდან პროგრამის მიმართ ინტერესის არარსებობა, პროგრამის განხორციელებისას გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში პარტნიორებთან თანამშრომლობის შეწყვეტა და სხვ.
2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.
3. გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ ეგზავნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
4.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით პროფესიული სტუდენტისთვის შეთავაზებული მექანიზმები გაწერილია წინამდებარე წესის მე-18 მუხლში.

მუხლი 7. პროფესიული განათლების მასწავლებელი

1. სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის კოლეჯს ჰყავს მოქმედი კანონმდებლობითა და სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე საჭირო ოდენობის პროფესიული განათლების მასწავლებლები;
2. პროფესიულ განათლების მასწავლებელთა საათობრივ დატვირთვას და ანაზღაურების წესს განსაზღვრავს დირექტორი ბრძანებით;
3. პროფესიული მასწავლებელი წარმართავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსს/მოდულს, უძღვება მეცადინეობებს, მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსის/მოდულის ადაპტირებაში.
4. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი,შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 1 წლის

გამოცდილებით ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება ან უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი, რომელიც ფლობს შესაბამის პროფესიასთან დაკავშირებულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს და შეუძლია დაეხმაროს სტუდენტებს პროფესიის დაუფლებაში. პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა შეეძლოს სახელმწიფო ენაზე სასწავლო პროცესის წარმართვა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ლიტერატურის გაგება.

5. მასწავლებელს უფლება-მოვალეობებია:

ა) სასწავლო პროცესის წარმართვა;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში, მოდიფიცირებასა და დანერგვაში მონაწილეობა;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროგრამების შინაარსის, სწავლების მეთოდებისა და საშუალებების დამოუკიდებლად განსაზღვრა;

დ) მოდულის დაწყებამდე 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე კალენდარული გეგმის შემუშავება და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისთვის გადაცემა.

ე) შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება;

ვ) კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ბრძანების საფუძველზე შექმნილი სააპელაციო კომისიის წევრობა და მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში;

ზ) პროფესიული სტუდენტისთვის ინფორმაციის მიწოდება შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ განმსაზღვრელ შეფასებამდე 3 სამუშაო დღით ადრე;

თ) შეფასების ინსტრუმენტების შეგროვება, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისთვის გადაცემა, მოდულის დასრულებიდან 6 დღის განმავლობაში.

ი)სტუდენტის ინფორმირება ინდივიდუალურად შეფასებებისა და სწავლის შედეგების შესახებ;

კ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

6. პროფესიული მასწავლებელი ვალდებულებულია დაიცვას ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნები და შეასრულოს მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

7. პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ვადიანი მომსახურების ხელშეკრულების ვადის გასვლა;

გ) შინაგანაწესის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა;

დ) მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;

ე) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები;

8. პროფესიული განათლების მასწავლებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი.

მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

1.კოლეჯის მიერ განხორციელებად, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - შესაბამისი დარგის სპეციალისტი.
2.პროგრამას, თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლებელია ჰყავდეს რამდენიმე ხელმძღვანელი.
3.ერთმა და იმავე პირმა არ შეიძლება უხელმძღვანელოს ორზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამას;
4.პროგრამის ხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) დარგის/მიმართულების შესაბამისი აკადემიური/პროფესიული კვალიფიკაცია, ან

ბ) დარგის/მიმართულების შესაბამისი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

5. პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიულ განათლების მასწავლებელთან ან/და დამსაქმებლებთან ერთად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში, დანერგვასა და მოდიფიცირებაში, პროგრამის მონიტორინგისა და განვითარების პროცესებში. მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესში.

6. პროგრამის ხელმძღვანელი არის ძირითადი საკონტაქტო პირი, რომელიც მონაწილეობს პროგრამის შიდა და გარე შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში, პროგრამის სრულყოფის მიზნით ეცნობა შედეგებს, რეაგირებს მასზე, აანალიზებს და აფასებს მათ.

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტი, მისი უფლებები და მოვალეობები

1. პროფესიული სტუდენტი არის პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე;

2. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს:

ა) ხარისხიანი განათლება;

ბ) მოსთხოვოს კოლეჯის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით, პროფესიულ სტუდენტთან დადებული სასწავლო ხელშეკრულებითა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;

გ) ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა სასწავლო რესურსებით;

დ) საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან ასეთის არსებობის შემთხვევაში გაერთიანდეს მათში;

ე) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი;

ვ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია კოლეჯის ადმინისტრაციისგან მისთვის საჭირო ან საინტერესო საკითხების შესახებ.

ზ) დაცული იყოს რასობრივი, ეროვნული, რელიგიური და სხვა ნიშნით დისკრიმინაციისაგან ან/და შეურაცხყოფისგან;

თ) წერილობით გაასაჩივროს პროფესიული განათლების მასწავლებლის, კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის ან სხვა პროფესიული სტუდენტის არამართლზომიერი ქმედება მის მიმართ; პროფესიული სტუდენტის ზემოაღნიშნული საჩივარი წარედგინება კოლეჯის დირექტორს;

ი) სასამართლოში გაასაჩივროს კოლეჯის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

კ) საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში;

ლ) მიიღოს მონაწილეობა მასწავლებლის მიერ ჩატარებული ლექცია-სემინარის ხარისხის და სასწავლო პროგრამის, მოდულის შეფასებაში.

მ) განახორციელოს მისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის სამართლებრივი რეგულაციებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

3. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) შეასრულოს კოლეჯთან დადებული სასწავლო ხელშეკრულების პირობები;

ბ) დაიცვას ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით, წინამდებარე წესით, კოლეჯის სხვა შიდა სამართლებრივი რეგულაციებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

გ) შეასრულოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნები;

შპს "ძერწელის სზიგანლებლობის კოლეჯი"

დ) პატივი სცეს კოლეჯში დასაქმებულ პირთა და სხვა პროფესიულ სტუდენტთა უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესებს;
ე) გაუფრთხილდეს და არ დააზიანოს კოლეჯის ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსი, გამოიყენოს ის დანიშნულებისამებრ;
ვ) დაიცვას საავტორო უფლებები და არ დაუშვას პლაგიატი;
ზ)მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასებაში;
თ) არ მოახდინოს ალკოჰოლური სასმელის, თამბაქოსა და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული სხვა ნივთიერებების რეალიზაცია, რეკლამირება/პროპაგანდა ან/და მოხმარება კოლეჯის შენობა-ნაგებობასა და მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე. თამბაქოს მოხმარება დასაშვებია შინაგანაწესის შესაბამისად კოლეჯის დირექტორის მიერ განსაზღვრულ სპეციალურ ადგილას;
ი) არ გამოცხადდეს კოლეჯში არაფხიზელ მდგომარეობაში;
კ) არ ატაროს და არ გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი, ფეთქებადი ნივთიერება ან ცივი იარაღი კოლეჯის ტერიტორიაზე;
ლ) არ ითამაშოს აზარტული თამაშები კოლეჯის ტერიტორიაზე;
მ) არ გამოიყენოს მობილური ტელეფონი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას (აუდიტორიებში, სასწავლო პრაქტიკის ლაბორატორიებში);
ნ) ხელი არ შეუშალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას.
ო) მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონდეს ძალადობის, შეურაცხყოფისა და ცილისწამების ფაქტს პროფესიული სტუდენტების და კოლეჯის პერსონალის მიმართ;

4. პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე მუხლით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად.

მუხლი 10. სასწავლო პროცესი

1. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კოლეჯის მისამართზე: ქ. მარნეული, შოთა რუსთაველის ქ, N13ბ, ხოლო პრაქტიკა კოლეჯის მისამართზე ან/და პრაქტიკის ობიექტის მისამართზე, რომელიც განისაზღვრება კონკრეტული პრაქტიკული მოდულის დაწყებამდე, პარტნიორ კომპანიასთან მოლაპარაკების შედეგად.
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სასწავლო პროცესის დაწყებამდე ადგენს სასწავლო ცხრილს, პროფესიულ მასწავლებლებთან/პრაქტიკის ინსტრუქტორებთან კომუნიკაციით;
4. სასწავლო ცხრილი წარმოადგენს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სხვადასხვა სასწავლო საათების განაწილებას.
5. სასწავლო ცხრილი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გადაეგზავნება მოდულის განმახორციელებელს და პროფესიულ სტუდენტებს.
6. სასწავლო კვირა განისაზღვრება 5 კალენდარული დღით-ორშაბათი-პარასკევი. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით, სასწავლო პროცესში წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე, პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული მასწავლებლების თანხმობით, სასწავლო პრპცესი წარიმართოს ორ ცვლაში, აგრეთვე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, შაბათი და კვირა, როგორც სასწავლო დღე.
7. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი იმუშაბევს რამდენიმე ცვლაში და შეჭრილი გრაფიკითაც.
8. პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 აკადემიურ საათს.
9. საკონტაქტო საათი განისაზღვრება 1 ასტრონომიული საათით (60 წუთი), საიდანაც უშუალოდ სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 50 წუთს, დასვენების ხანგრძლივობა-10 წუთს.

10. კოლეჯში საქართველოს ორგანული კანონით ,,საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებულ უქმე დღეებში არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.
11. არდადეგები განისაზღვრება აკადემიური კალენდარით, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.
12. ჰიბრიდული ან დისტანციური სწავლების საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის ორგანიზების ფორმატი იცვლება დირექტორის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 11. კალენდარული გეგმა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, პროფესიული მასწავლებელი, მოდულის დაწყებამდე 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე, შეიმუშავებს კალენდარულ გეგმას და წარუდგენს სასწავლო პროცესის სამსახურს შესათანხმებლად.
2. კალენდარული გეგმა დგება კონკრეტული მოდულისთვის და ასრულებს მოდულის განხორციელების დაგეგმვის ფუნქციას.
3. კალენდარული გეგმა უნდა ფარავდეს მოდულით მისაღწევ ყველა სწავლის შედეგს და შესაბამისობაში იყოს მოდულით განსაზღვრულ საათების განაწილებასთან.
4. კალენდარული გეგმა მოიცავს შენიშვნების ველს მასწავლებლებისთვის. მოდულის განმახორციელებელი პირი სწავლების პროცესში საჭიროების შემთხვევაში შეიტანს თავის მოსაზრებებსა და კომენტარებს მოდულის მიმდინარეობისას, რომელიც გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის.
5. მოდულის განხორციელების ეტაპზე წარმოქმნილი გაუთვალისწინებელი ფაქტორების გამო, შესაძლებელია ცვლილების შეტანა კალენდარულ გეგმაში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან შეთანხმებით.

მუხლი 12. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ნიშნავს კოლეჯსა და სტუდენტს შორის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით განთავისუფლებას
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
   ა) სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;
   გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როდესაც განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რაც შეუთავსებელია სწავლასთან;
   გ) ავადმყოფობა, ორსულობა და ახალშობილის მოვლა;
   დ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;
   ე) კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრული შემთხვევები და სხვა საფუძვლები.
3. დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება.
4. პროფესიულ სტუდენტს სტატუსის უჩერდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. შეჩერებული სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი არ განიხილება კოლეჯის სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.
5. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 5 წლის ვადით. პროფესიულ სტუდენტს სტუდენტის სტატუსის შეუწყდება თუ კი ზემოაღნიშნულ ვადაში არ აღიდგენს სტატუსს.
6. სტატუსის შეჩერებისას ჩერდება სასწავლო ხელშეკრულება შეჩერების შესაბამისი საფუძვლის აღმოფხვრამდე.

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტატუს შეჩერებული პირი/კანონიერი წარმომადგენელი სტუდენტის სტატუსის აღდგენის მიზნით, განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს.
2. სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის თაობაზე გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ბრძანება და შესაბამისი მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
4. იმ შემთხვევაში, თუ ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზედაც ირიცხებოდა პროფესიული სტუდენტი მისთვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის გაუქმებულია, ან შეცვლილია მოქმედებს წინამდებარე წესის 18 მუხლის პირველი პუნქტი.
5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლას გააგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით საგანმანათლებლო პროგრამის იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.
6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის კოლეჯის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასა და აღდგენასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად.

მუხლი 14. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება კოლეჯისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

   ა) პირადი განცხადება;

   ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;

   გ) გარდაცვალება;

   დ) სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

   ე) კანონიერ ძალაში შესული განაჩენი პროფესიული სტუდენტის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას;

   ვ)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნის მიუღწევლობა;

   ზ)პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 5 თვის განმავლობაში სწავლის შედეგების 50 % ზე მეტის დაუდასტურებლობა, შეფასების პროცესზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადების გამო. (საპატიოდ ითვლება დაუძლეველი ძალით გამოწვეული მიზეზი, ავადმყოფობა, ოჯახური მდგომარეობა)

   თ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულის „ ქართული ენა A2“ სწავლის შედეგის ვერ დადასტურება წინამდებარე წესით დადგენილი პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის შესაბამისად (იგულისხმება განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასება);

ი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულის ,,ქართული ენა B1“ სწავლის შედეგის ვერ დადასტურება წინამდებარე წესით დადგენილი პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის შესაბამისად (იგულისხმება განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასება);

კ) კოლეჯის შინაგანაწესითა და ამ წესით განსაზღვრული შემთხვევები და სხვა საფუძვლები.

3. კოლეჯი ვალდებულია პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს აცნობოს პირს აღნიშნულის შესახებ, შესაძლებლობის შემთხვევაში მოისმინოს მისი პოზიცია და მისცეს მას ახსნა განმარტების წარმოდგენის უფლება. ახსნა-განმარტების წარმოდგენის ვადაა ინფორმირებიდან განისაზღვროს 5 სამუშაო დღით.
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს პროფესიულ სტუდენტთან დადებული სასწავლო ხელშეკრულების მოშლას.
5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ პირისათვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი აღარ განიხილება.
6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება კოლეჯის დირექტორის დასაბუთებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, გადაწყდება მომქმედი კანონმდებოლობისა და კოლეჯის სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად.

მუხლი 15. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქართული ენა A2 და ქართული ენა B1-ზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის გაგრძელება

1. მოდულების ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის ცოდნა. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.
2. ქართული ენის მოდულის დაუძლევლობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
3. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:

ა) სწავლა განაგრძოს იმავე პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი მიღების ფარგლებში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად ისარგებლოს შიდა მობილობით;

გ) ისარგებლოს გარე მობილობით;

დ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

მუხლი 16. პირის მიერ ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების აღიარების პრინციპები

1.ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (შემდგომში – ფორმალური განათლების აღიარება) მიზანია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.

2.ფორმალური განათლების აღიარების მსურველი განცხადებით მიმართავს პროფესიული კოლეჯის დირექტორს.

3.ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:

ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;

ბ) მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

გ)ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში – განმცხადებელი) უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.

4.განმცხადებლის მიერ კოლეჯისათვის წერილობითი ფორმით წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) კოლეჯის დასახელებას;

ბ) განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;

გ) განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;

დ) განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;

ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;

ვ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;

ზ) განმცხადებლის ხელმოწერას;

თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.

ი) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

კ) ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს.

ლ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;

5.ფორმალური განათლების აღიარების მსურველი უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.

6.თუ პირის მიერ გავლილი მოდულის კრედიტები იდენტურია კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულისა, მისი აღიარება ხდება ავტომატურად.

7.ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 1 თვით, განცხადების წარმოებაში მიღების დღიდან.

8.ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) კოლეჯისათვის განცხადების წარდგენა;

ბ) კომისიის შექმნა კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე;

გ) კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/ შეფასება;

დ) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;

ე) კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემა კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

9.კოლეჯი არ არის უფლებამოსილი განმცხადებელს მოსთხოვოს წინამდებარე მუხლის მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია იმ სწავლის შედეგების აღიარების ნაწილში, რომელიც მიღწეულ იქნა ამავე დაწესებულების მიერ განხორციელებული ფორმალური განათლების ფარგლებში.

10.კოლეჯი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას მე-3 მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი კოლეჯს არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, კოლეჯი განმცხადებელს განუსაზღვრავს 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

11.განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ, წინამდებარე მუხლის საფუძველზე შექმნილი კომისია (შემდგომში - კომისია) უზრუნველყოფს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას.

12.კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან.

13.კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით.

14.კოლეჯს უფლება აქვს განმცხადებელი მოიწვიოს კომისიის განხილვაზე, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

15.კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

16.კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

17.ოქმში ასახული გადაწყვეტილება აისახება კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში.

18.კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;

ბ) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

19.კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი შესაბამისი დასაბუთებით.

20.კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) განმცხადებლის ვინაობა;

ბ) იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;

გ) აღიარებული კრედიტების რაოდენობა;

დ) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;

ე) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.

21.კოლეჯი ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს დირექტორის ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
22.პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის საჩივრის საფუძველზე.
23.ფორმალური განათლების აღიარების შედეგები და წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები აისახება სსიპ –განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში 5 დღის ვადაში.
24.ფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე წესით დარეგულირდება საქართველოს მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17. არაფორმალური განათლების აღიარება

1. არაფორმალური განათლება – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შეძენას.
2. არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურები განისაზღვრება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესებით;

მუხლი 18. კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია ან შესთავაზოს ქვემოთ ჩამოთვლილი მექანიზმები შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით:

ა)კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა საგანმანთლებლო დაწესებულებებთან საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე ან მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;

ბ)კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის იმ მონათესავე საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც თავად ახორციელებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' და ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარება.
3.კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ქვემოთ მოცემულ მექანიზმს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით:

ა)კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა პროფესიულ საგანმანთლებლო დაწესებულებასთან კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე ან მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

ფასეულობებზე დაფუძნებული კოლეჯი

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობას, რის შესახებაც წერილობით (ელ.ფოსტა) აცნობებს პროფესიულ სტუდენტებს, განუმარტოს აღნიშნული ცვლილებების შესახებ და სთავაზობს მათ დაასრულონ სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.
5.კოლეჯი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, ამ პროგრამის შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ აღნიშნული პროგრამის შეცვლამდე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის განხორციელების შესახებ.
6. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში თუ კი პროფესიული სტუდენტი წერილობით უარს განაცხადებს არსებულ მექანიზმებზე, კოლეჯი ახორციელებს შესაბამისი სერთიფიკატისა და სერთიფიკატის დანართის გაცემას აღნიშნული პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების საფუძველზე.
7. კოლეჯისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში ამ კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის ისინი, ვისაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში.

მუხლი 19. პროფესიული სტუდენტის მობილობა

1. პროფესიული სტუდენტის მობილობა არის პროფესიულ სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლებისა და კრედიტების აღიარება.
2. პროფესიული სტუდენტის მობილობა შეიძლება განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებიდან სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებაში (გარე მობილობა) ან მის ფარგლებში ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (შიდა მობილობა).
3. გარე და შიდა მობილობის (შემდგომში – მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელსაც მოპოვებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი,
რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის პროფესიული დაწესებულების პროფესიული ს ტუდენტი, ან პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული
აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
4. მობილობის პროცედურის დაწყების საფუძველია პროფესიული სტუდენტის, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის განცხადება (განცხადებას თან უნდა ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები).
5.აღნიშნული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, სადაც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა შესაბამის პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით კოლეჯი უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.
6.მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში ზემოაღნიშნული ოქმის საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს პირის ჩარიცხვის შესახებ, რომელიც არაუგვიანეს 5 დღისა აისახება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
7.კოლეჯი უფლებამოსილია დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.

8.მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.
9.მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ავტომატურტად ჩაეთვლება მოდულის გავლა.
10.მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ უნდა ეცნობოს არა უმეტეს განხილვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
11.პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში. პროფესიული სტუდენტები, რომელთა დაწესებულებები ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ან დაწესებულებამ დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ან გაუვიდა ავტორიზაციის ვადა და მიიჩნევიან პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებად, მათი მობილობა დასაშვებია ზღვრული რაოდენობის გადაჭარბების არაუმეტეს 25 % ისა. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვისკოლეჯის მიერ დადგეილი სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.
12.კოლეჯი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

ა)კოლეჯს არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

ბ)კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;

გ).მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს კოლეჯის მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

13.მობილობის წესით პროფესიული სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში.
14.გარე მობილობის დროს, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ოფიციალური დოკუმენტი შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის შესახებ.(მოქმედებს 2024 წლის მიღბიდან)

მუხლი 20. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შენარჩუნება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სწავლის შედეგის დადასტურების შემდგომ, პირს უნარჩუნდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი, პირველ საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლამდე და კვალიფიკაციის მინიჭებამდე;

2. პირველ საკვალიფიკაციო გამოცდაზე გაუსვლელობის ან საკვალიფიკაციო გამოცდის ვერ ჩაბარების შემთხვევაში, პირს უჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და უნარჩუნდება უფლება გავიდეს საკვალიფიკაციო გამოდაზე მომდევნო 2 წლის განმავლობაში, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი კურსის პროფესიულ სტუდენტებთან ერთად.

მუხლი 21. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის მიერ მუშავდება ინდივიდუალურ საჭიროებას მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს მოდულების ერთობლიობას, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის) ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა საშუალებას იძლევა პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულად მოხდეს დროის დაგეგმვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათის გათვალისწინებით.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული პროფესიული სტუდენტის/სტუდენტებისათვის.

5. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის საჭიროება წარმოიქმნება:

ა) იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულებაში სწავლობს სსსმ/შშმ პირი, რომელიც შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერ აღწევს სწავლის შედეგების დადასტურებას; ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში ჩართული სპეციალისტთან ერთად შესაძლოა ჩართული იყოს სსსმ/შშმ პირის კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი;

ბ) მობილობის შემთხვევაში, როდესაც არსებობს სწავლის შედეგებს შორის განსხვავება;

გ) სტატუსშეჩერებული სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენის შემთხვევაში;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში ან პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

ე) ფორმალური ან არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში

6. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მითითებული უნდა იყოს:

ა) მოდულის/მოდულების სტატუსი;

ბ) მოდულის/მოდულების დასახელება;

გ) მოდულზე დაშვების წინაპირობა;

დ) კრედიტების რაოდენობა;

ე) სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა და კრეტიდების გადანაწილება აღნიშნულ პერიოდზე.

7. წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევასთან დაკავშირებით, პროფესიული მასწავლებელი მიმართავს კოლეჯის დირექტორს, რის შემდგომაც სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისა და ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში ჩართული სპეციალისტთან ერთად ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით. თუ ფაქტი დადასტურდა, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ განათლების მასწავლებელთან და ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში ჩართული სპეციალისტთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად.

8. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის და მის ფარგლებში სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

9. წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტის ბ, გ და დ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, პროფესიული სტუდენტის აქტიური მონაწილეობით, ხდება ინდივიდუალური საჭიროების/საჭიროებების დადგენა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.

10. შემუშავებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუდმივად განვითარებადი დოკუმენტია. მასში შესატანი ცვლილებები უნდა განხორციელდეს ყველა შესაბამისი მხარესთან კონსულტაციის საფუძველზე.

12. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკაში განხორციელებას და მის მიმდინარეობას მუდმივ კონტროლს უწევს და აფასებს კოლეჯში შექმნილი შიდა მხარდაჭერის ჯგუფი.

მუხლი 22. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად საჭიროა სასწავლო და შეფასების პროცესზე მუდმივი დაკვირვება და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვა.

2. კოლეჯში დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი.

2. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ხდება სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელსაც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

3. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე შიდა მხარდაჭერის ჯგუფი ადგენს ანგარიშს.

4. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში წარედგინება დირექტორის მოადგილეს (სასწავლო დარგში)განსახილველად, რის შემდეგაც შემუშავდება სამოქმედო გეგმა პროგრამის ხელმძღვანელებთან და დაინტერესებულ პირებთან ერთად.

5. შემუშავებული სამოქმედო გეგმის საფუძველზე მუშავდება არსებული პრობლემების აღმოფხვრის გზები, სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ საქმიანობაში ინოვაციური მიდგომების განვითარება და სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

6. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი მოქმედებს წინამდებარე წესის, კოლეჯის შინაგანაწესისა და სხვა შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად.

მუხლი 23. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვა

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი არის ინტელექტუალური და განვითარების დარღვევის ან/და სენსორული (სმენისა და მხედველობის) ან/და ქცევითი და ემოციური დარღვევის ან/და ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირი, რომლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება დასტურდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ.

2.კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის).

3. ინკლუზიური პროფესიული განათლება არის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა პროფესიული სტუდენტისათვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.

4.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით;

5.ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები, პროგრამის ხელმძღვანელი და მოწვეული ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები – სპეციალური მასწავლებელი/ფსიქოლოგი/ოკუპაციური თერაპევტი/ენისა და მეტყველების სპეციალისტი/ჟესტური ენის თარჯიმანი/ჟესტური ენის სპეციალისტი/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი.

6.მოწვეული ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტთან – სპეციალური მასწავლებელი/ფსიქოლოგი/ოკუპაციური თერაპევტი/ენისა და მეტყველების სპეციალისტი/ჟესტური ენის თარჯიმანი/ჟესტური ენის სპეციალისტი/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტთან ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება.

7წინამდებარე მუხლის 5. პუნქტში მითითებული სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ საჭიროების შემთხვევაში მოხდება:

ა)სასწავლო ფართის სრულად ადაპტირება;

ბ)სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალის სასწავლო გეგმის შედგენა,რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

გ)საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფა.

დ)სწავლების/შეფასების მეთოდებისა და აქტივობების რელევანტურობის განსაზღვრა გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე;

ე)მატერიალური და სასწავლო რესურსის განსაზღვრა;

ვ)სასწავლო განრიგისა და კვირეული დატვირთვის განსაზღვრა;

7.ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

8.სასწავლო გეგმის/პროგრამის განხორციელების კონტროლს ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

9.საჭიროების შემთხვევაში შშმ და სსმ პირებისათვის გადაადგილებაში დახმარების გაწევას უზრუნველყოფს დირექტორის მოადგილე (სამეურნეო დარგში) და დაცვის თანამშრომელი

10.კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შშმ და სსსმ პირების ჩარიცხვა ხდება შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში არსებული ჩარიცხვის წესის შესაბამისად.

11.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე მუხლით დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 24. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა.
2. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, ერთი კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით.

3. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა, სკამებით და პროექტორით.
4. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია მოდულებში მითითებული მატერიალური რესურსით - ინვენტარით.
5. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

   ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

   ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.

   გ) C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი, ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა.

   დ)პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობა;

   ე) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;

   ვ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის რაოდენობა;

   ზ) პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულების კვირეული დატვირთვა

   თ)პროგრამის მოთხოვნადობა, როგორც შრომის ბაზარზე, ასევე, აპლიკანტთა მხრივ.
6. დასაშვებია სხავდასხვა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით
7. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A,B და C სასწავლო გარემო) ერთ სივრცეში განთავსება, მაგალითად Aდა B, A და C და სხვა.
8. კვოტის განსაზღვრის დროს ძირითად შემზღუდავ ფაქტორს წარმოადგენს სასწავლო გარემოს ფართი. ის უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. რამდენიმე გარემოს არსებობის შემთხვევაში კვოტა ეყრდნობა ყველაზე მცირე მოცულობის ფართს, შესაბამისი აღჭურვილობის გათვალისწინებით;
9. ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად, ყველა გარემოს რესურსიდან უმცირესის გათვალისწინებით
10. კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებელია, რომ კოლეჯი მუშაობს რამდენიმე ცვლაში და შეჭრილი გრაფიკითაც.
11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, კოლეჯს გარეთ სივრცეში,
7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) გაზრდა ან შემცირება ხორციელდება წინამდებარე მუხლის გათვალისწინებით.
8. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯი, ასახავს შესაბამის განაცხადში და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ეროვნული სასწავლო გეგმა

მუხლი 25. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვისა და გამოყენების მექანიზმები

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის, მოდულებში/თემატიკაში მითითებული მასალებისა და ნედლეულის როდენობის გათვალისწინებით სასწავლო პროცესის მართვის სამსახური პროფესიული განათლების მასწავლებლებთან კონსულტაციის საფუძველზე წარუდგენს დირექტორის მოადგილეს (სასწავლო დარგში) მოთხოვნას შესაძენი მასალებისა და ნედლეულის შესახებ შესაბამისი მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა. სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალებისა და ნედლეულის შეძენას უზრუნველყოფს კოლეჯის ადმინისტრაცია.
2. თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება პრაქტიკის ობიექტზე, მასალებისა და ნედლეულის შეძენას იმ მოდულის ფარგლებში ახორციელებს კოლეჯი/პრაქტიკის ობიექტი, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.
3. მასალებისა და ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა გამოყენების მომენტისათვის.
4. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შენახვის წესების დაცვით.
5. ლიტერატურის შეძენისას პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის ხელმძღვანელი მიმართავს ბიბლიოთეკარს საჭირო ლიტერატურის შესაძენად , რომელიც თავის მხრივ მიმართავს დირექტორს.

მუხლი 26. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი

6. პროდუქტი, რომელიც არსებობს დოკუმენტაციის სახით (ტესტები, პროექტები, დაკვირვების ფორმები, და სხვა) ინახება, 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კოლეჯის ერთიანი ელექტრონული საქმისწარმოების დებულების შესაბამისად ან გადაეცემა ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის.
7. პროდუქტი, რომელიც წარმოდგენილია ელექტრონული სახით უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან/სერთიფიკატის გაცემიდან სამი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან გადაეცემა ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის.
8. პროდუქტი, რომელიც განთავსებულია გლობალურ ქსელში (ინტერნეტი), ელექტრონული მისამართები იწერება და რეესტრი ინახება 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც შესაძლებელია წაიშალოს.
9. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მატერიალური სახის შემოქმედებით ნაშრომს (ნახატი, მაკეტი და სხვა) ინახება სამი წლის განმავლობაში. შესაძლოა შენახვის პერიოდში გამოყენებულ იქნას საგანმანათლებლო მიზნებისათვის, რის შემდეგაც შესაძლოა მისი რეალიზაცია, გადაცემა სხვა პირისათვის საქველმოქმედო მიზნებისათვის ან ნადგურდება დადგენილი წესით ან რჩება კოლეჯის საგანმანათლებლო მიზნებისათვის.
10. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მალფუჭებად საქონელს, უნდა დაფიქსირდეს ფოტო ან ვიდეო გამოსახულების სახით, რაც ინახება 3 წლის განმავლობაში. შესაძლოა პროდუქტის რეალიზაცია ან სხვა პირისათვის გადაცემა საქველმოქმედო მიზნებისათვის, ან ნადგურდება დადგენილი წესით ან ხდება სხვაგვარად განკარგვა კოლეჯის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით.
11. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული პროდუქტის სხვაგვარად განკარგვა გარდა განადგურებისა, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს ქვეყანაში დადგენილ სანიტარულჰიგიენურ და უსაფრთხოების ნორმებს.
12. ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული პირობების კონტროლი და შესაძლო შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯის ადმინისტრაციას.

ფასიანი ადმინისტრაციული კოდექსი

13. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი ავტორ(ებ)ის/შემქნელ(ებ)ის იდენტიფიკაცია.

მუხლი 27. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია

1. სასწავლო პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს.
2. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დირექტორის მოადგილეს (სასწავლო დარგში).
3. განხორციელებული უტილიზაციის პროცედურის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს კოლეჯის ადმინისტრაციისადმი წარდგენილ სამსახურეობრივ ბარათში/ანგარიშში.

მუხლი 28. სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა

1.საწარმოო პრაქტიკა/პრაქტიკა წარმოადგენს აუცილებელ კომპონენტს, რომელიც პროფესიულ სტუდენტს ხელს უწყობს პროფესიონალად ჩამოყალიბებაში და აძლევს საშუალებას, მის მიერ მიღებული თეორიული ცოდნა განავითაროს პრაქტიკულ გარემოში.

2. პრაქტიკის ობიექტი შეიძლება იყოს -მეწარმე სუბიექტი/ იურიდიული პირი, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი, რომელთანაც გაფორმებულია დოკუმენტი კოოპერაციული სწავლების მიზნით თანამშრომლობის შესახებ;

3.პრაქტიკის ობიექტის შერჩევისას კოლეჯთან ერთად პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების მიზნით, პრაქტიკის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) აცნობიერებდეს პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას და საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობას და ჰქონდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მოტივაცია;

ბ) მისი ადამიანური და მატერიალური რესურსი შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებთან;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზიას/ნებართვას ან სხვა სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მოპოვებული ჰქონდეს ლიცენზია/ნებართვა ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება;

4.პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმი/ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ რეკვიზიტებს:

ა)პრაქტიკის ობიექტისა და კოლეჯის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ბ)პროგრამის სახელწოდებას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა;

გ)პრაქტიკის ობიექტისა და პროგრამის განხორციელების ადგილის მისამართებს;

დ)პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ჩამონათვალს;

ე)პრაქტიკის ობიექტის მიერ ერთდოულად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

ვ)პრაქტიკის ობიექტის ვალდებულებებს პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე სწავლის/ სამუშაოს შესრულების პერიოდში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის შესახებ;

ზ)ხელშეკრულების ვადას, რომელიც არ უნდა იყოს პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს;

თ)პრაქტიკის ობიექტის/დაწესებულების სხვა უფლებებს, ვალდებულებებს, პასუხისმგებლობებსა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საკითხებს.

მუსიკისა და ხელოვნების კოლეჯი

5.პრაქტიკის დაგეგმვასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომელიც უკავშირდება პრაქტიკის ობიექტს პრაქტიკის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე და აცნობს:

ა)მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

ბ)პრაქტიკის ხანგრძლივობას;

გ) საათების რაოდენობას;

დ)მოდულს;

6.პრაქტიკის ობიექტი გამოყოფს პრაქტიკის ხელმძღვანელს /კომპანიის ინსტრუქტორს;

7.პრაქტიკის ხელმძღვანელი /კომპანიის ინსტრუქტორი არის პირი, რომელიც დანიშნულია საწარმოს მხრიდან და პასუხისმგებელია საწარმოში პროფესიულ სტუდენტთა ზედამხედველობაზე.

8.პრაქტიკის პირველ დღეს პროფესიულ სტუდენტებს პრაქტიკის ობიექტზე მიიყვანს პროგრამის ხელმძღვანელი და გააცნობს პრაქტიკის ხელმძღვანელს /კომპანიის ინსტრუქტორს.

9.პრაქტიკის ხელმძღვანელი /კომპანიის ინსტრუქტორი პრაქტიკის დაწყების დღეს შეხვდება ყველა პროფესიულ სტუდენტს და მიაწვდის მათ ინფორმაციას:

ა)სამუშაო ადგილზე მისვლის და წამოსვლის დროის შესახებ;

ბ)დღის განმავლობაში პრაქტიკის საათების რაოდენობის, განაწილებას;პრაქტიკის დღეების ხანგრძლივობის შესახებ;

გ)გააცნობს პრაქტიკის ობიექტის შიდა წესებს,

10.პროფესიული სტუდენტი პრაქტიკის ობიექტის ტერიტორიაზე ყოფნისას უნდა დაემორჩილოს სამუშაო ადგილზე მოქმედ შიდა რეგულაციას და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებს.

11.პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგს ახორციელებს დირექტორის მოადგილე (სასწავლო დარგში) ან შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი;

12.პრაქტიკის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს მოდულის ფარგლებში მინიმუმ ერთხელ.

13.მონიტორინგის მტკიცებულებას წარმოადგენს ოქმი, რომელიც ხელმოწერილია პროგრამის ხელმძღვანელის/დირექტორის მოადგილის (სასწავლო დარგში) და კომპანიის ინსტრუქტორის მიერ

14.კოლეჯი პრააქტიკის ხელმძღვანელთან/კომპანიის ინსტრუქტორთან აფორმებს მომსახურების ხელშეკრულებას.

15.პრაქტიკის ხელმძღვანელი/კომპანიის ინსტრუქტორი შეიძლება იყოს ამავე დროს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი.

16.პრაქტიკის ხელმძღვანელი/კომპანიის ინსტრუქტორი არის პირი რომელიც პროფესიულ სტუდენტს პროფესი-ისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში ეხმარება.

17.პრაქტიკის ხელმძღვანელი/კომპანიის ინსტრუქტორი:

ა)ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზებას მოდულის შესაბამისად;

ბ)უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის საწარმოს/დაწესებულების/ორგანიზაციის შინაგანაწესის, არსებობის შემთხვევაში შრომის უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმების გაცნობას და ახორციელებს კონტროლს პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან მათ დაცვაზე;

გ)ხელმძღვანელობს პროფესიულ სტუდენტთა ყოველდღიურ მუშაობას;

დ)პროფესიულ სტუდენტებს ეხმარება მათთვის საჭირო ინფორმაციის და მასალების მოპოვებაში;

ე)აძლევს პროფესიულ სტუდენტს ინდივიდუალურ დავალებას და ხელს უწყობს მის შესრულებაში.

ვ)უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა პროფესიული მოვალეობების/უნარების შეფასებას მოდულით მისაღწევი შედეგების შესაბამისად.

18.კომპანიის ინსტრუქტორის ძირითადი სამუშაო ადგილი თავად კომპანიაა.

19.საწარმოო პრაქტიკაზე/პრაქტიკაზე სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტების განაწილებისას ერთვება ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.(ინკლუზიური განათლების სპეციალისტს კოლეჯი იყვანს იმ შემთხვევაში როდესაც კოლეჯს ექნება ამის საჭიროება)

20. გამომდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან შესაძლებელია პრაქტიკული მოდული განხორციელდეს კოლეჯში.

21.პრაქტიკის დასრულებისას პრაქტიკის ხელმძღვანელი წარმოადგენს პრაქტიკის მსვლელობისას პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, რომლიც ფორმდება უწყისში და ინახება კოლეჯის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

მუხლი 29. სწავლის საფასური

1.კოლეჯში იმ შემთხვევაში თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზეს სწავლა არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასური განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის სამართლებრივი აქტით.

2.უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შეიძლება სწავლების საფასური იყოს განსხვავებული.

3. შეღავათიანი ტარიფით გაფორმებული ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში უნარჩუნდება ხელშეკრულებით განსაზღვრული საფასურის ოდენობა.

მუხლი 30. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, ბრძანებით.
2. წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამტებების განხორციელება შესაძლებელია დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულება 2

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 2

მუხლი 2’. სასწავლო გეგმა 4

მუხლი 3. ინვენტარი, აღჭურვილობა, მასალა და ნედლეული 4

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირება/შემუშავევბა, ცვლილებების განხორციელება. 4

მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები 6

მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება 7

მუხლი 7. პროფესიული განათლების მასწავლებელი 7

მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი 8

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტი, მისი უფლებები და მოვალეობები 9

მუხლი 10. სასწავლო პროცესი 10

მუხლი 11. კალენდარული გეგმა 11

მუხლი 12. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება 11

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა 12

მუხლი 14. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა 12

მუხლი 15. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქართული ენა A2 და ქართული ენა B1-ზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის გაგრძელება 13

მუხლი 16. პირის მიერ ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების აღიარების პრინციპები 13

მუხლი 17. არაფორმალური განათლების აღიარება 16

მუხლი 18. კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი 16

მუხლი 19. პროფესიული სტუდენტის მობილობა 17

მუხლი 20. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შენარჩუნება 18

მუხლი 21. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა 18

მუხლი 22. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი 20

მუხლი 23. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვა 20

მუხლი 24. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მეთოდოლოგია 21

მუხლი 25. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვისა და გამოყენების მექანიზმები 23

მუხლი 26. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი 23

მუხლი 27. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია.....24
მუხლი 28. სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა 24
მუხლი 29. სწავლის საფასური 25
მუხლი 30. დასკვნითი დებულებები.....26

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი